ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბერის №31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

2023 წლის ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 3262,5 ათასი ლარი. მ.შ. საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი განკარგულებებით არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2 739,7 ათასი ლარი, აქედან:

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით 109,8 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით 26,8 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულებით 1,4 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით 1186,7 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებით 681,1 ათასი

ლარი;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით 729,2 ათასი

ლარი;

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებით 3,7 ათასი

ლარი;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებით 0,3 ათასი

ლარი;

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით 0,2 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით 0,3 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1573 განკარგულებით 0,1 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით 0,1 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის მიერ განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან არსებული ნაშთი მიიმართოს შემდეგი დანიშნულებით:

გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ხარჯებისათვის 567,6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 01 02);

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 1252,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 03 01);

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე 684,9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 06);

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის 26,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 04);

სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა , რეაბილიტაცია მშენებლობა 43,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01 06);

განათლების სისტემის ხელშეწყობა 109,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 02);

საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯებისათვის 54,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 06);

დაკორექტირდება საბიუჯეტო სახსრების ნაშთი რომელიც დამტკიცებულ ბიუჯეტში განსაზღვრული იყო 10,0 ათასი ლარით და გაიზრდება 512,8 ათასით და სულ საბიუჯეტო სახსრების ნაშთის მოცულობა გახდება 522,8 ათასი, გაიზრდება სხვა შემოსავლები 5,0 ათასი ლარით, ნაშთის თანხა 512,8 ათასი ლარი მიიმართება ეროკავშირის პროექტის „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისაკენ" ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 02 03 02)(აღნიშნული კოდი ჩანაცვლდება 02 03 04 პროგრამული კოდით). ხოლო 5,0

ათასი ლარი მიიმართება განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამისათვის (04 02 ქვეპროგრამა);

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში შეტანილ იქნეს ცვლილება და გაიზარდოს იგი: 4255,4 ათასი ლარით, მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით 2570,4 ათასი ლარით და აღნიშნული თანხიდან 2371,4 ათასი ლარი მიიმართოს „გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების" (ქვეპროგრამა 02 01 02) ქვეპროგრამაზე კერძოდ: სოფელ ნაკადულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე - 354,3 ათასი ლარი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ქვემო ონჭიქედში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე - 420,5 ათასი ლარი. ბუკისციხის ადმ. ერთეულში, ვანის ადმ. ერთეულში, ვანსა და ზომლეთის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოებზე 249,2 ათასი ლარი, სოფელ შუა ფარცხმისა და დაბის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოებზე - 200,0 ათასი ლარი, დაბა ჩოხატაურში გურიის ქუჩაზე სკვერის და სტადიონის და გურიის ქუჩაზე გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოებზე - 300,0 ათასი ლარი, ფარცხმის ადმ. ერთეულში ხანის გზის რეაბილიტაციაზე - 256,8 ათასი ლარი, ამაღლება-სამების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე - 250,0 ათასი ლარი, სოფელ ბასილეთში შიდა გზების რეაბილიტაციაზე - 193,4 ათასი ლარი, სოფელ წიფნარსი სკოლიდან უჩა კიკვაძის მიმართულებით ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოებზე -147,2 ათასი ლარი;

„მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე" (ქვეპროგრამა 02 01 02) მიიმართოს 37,0 ათასი ლარი, სოფელ ხიდისთავში ახალი ამბულატორიის მშენებლობა.

„საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციის სამუშაოები" (ქვეპროგრამა 04 06) მიიმართოს 162,0 ათასი ლარი, სოფელ ზემოსურებში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 10/01/2023 წლის №46.46230102 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" 730,0 ათასი ლარით და მიიმართოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 04) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 10/01/2023 წლის №46.4623010001 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით 955,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 თებერვლის N252 განკარგულებით 20,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის (მიმდინარე წლის იანვრის თვეში სტიქიის შედეგად მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებული კერძო სახლების კომპენსაცია).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 იანვრის N197 განკარგულებით „მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საფუძველზე გამოეყო 1300,0 ათასი ლარი, აღნიშნულიდან გამომდინარე შემცირდება არაფინანსური აქტივების კლება 500,0 ათასით და სხვა შემოსავლები 800,0 ათასით. გაიზრდება გრანტები (სპეციალური ტრანსფერი) 1300,0 ათასით.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 21 265.3 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2,მე-3,მე-4,მე-5,მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 . მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20, 21-ე , 22 -ე , 23-ე, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: *მ.გოგოლაძე*

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბერის №31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 თებერვლის N252 განკარგულებებთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 69-ე და მე-80 მუხლებთან და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : ბექა შენგელია